* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები
** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

ხელშეკრულება გენერალური საკრედიტო ლიმიტის შესახებ N [---]

[ხელშეკრულების დადების ადგილი] ხელშეკრულების დადების თარიღი: [---]

1. გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულების მხარეები

ბანკის სახელწოდება : სააქციო საზოგადოება სს ,,კრედო ბანკი“
ბანკის საიდენტიფიკაციო ნომერი: 205232238
საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის/ლიცენზირების ფორმა: კომერციული ბანკი
საზედამხედველო ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი
ბანკის იურიდიული მისამართი და ტელეფონი: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის ქ. #27; 2 42 42 42
წარმომადგენელი: [სახელი გვარი]
ელექტრონული ფოსტის მისამართი:info@credo.ge

2.ტერმინთა განმარტება

2.1. **გენერალური ლიმიტი** – გენერალური საკრედიტო ლიმიტი წარმოადგენს **გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულების** ფარგლებში გაცემული **საკრედიტო პროდუქტების** მაქსიმალურ ჯამურ თანხობრივ ლიმიტს. ამასთან: ა) **საკრედიტო პროდუქტებით** მრავალჯერადი სარგებლობისას, გენერალური ლიმიტის ფარგლებში ათვისებული/ასათვისებელი **საკრედიტო პროდუქტების** თანხის მოცულობის გაანგარიშებისას, მხედველობაში არ მიიღება **კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** დაბრუნებული თანხა; ბ) ერთი ან რამდენიმე არსებული **საკრედიტო პროდუქტის** სრულად ან ნაწილობრივ რეფინანსირებისას, მხედველობაში არ მიიღება დასარეფინანსირებელი ვალდებულება; გ) იმ საკრედიტო პროდუქტის თანხა, რომელიც არ არის გაცემული **გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულების** ფარგლებში; დ) თუ გენერალური ლიმიტი დამტკიცებულია ერთ რომელიმე ვალუტაში და ერთი ან რამდენიმე **საკრედიტო პროდუქტის** მიწოდება ხდება სხვა ვალუტაში, გენერალური ლიმიტის დაანგარიშებისათვის ყოველ კონკრეტულ მომენტში გამოიყენება **ბანკის** მიერ დადგენილი, ლარის გაცვლითი კომერციული კურსი სხვა ვალუტებთან მიმართებაში.

2.3.**გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულება** – **მხარეთა** შორის გაფორმებული, წინამდებარე გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულება.

2.4.**კანონმდებლობა** – საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

2.5.**კლიენტი** – ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან/და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომლის სახელი/სახელწოდება, საიდენტიფიკაციო მონაცემები და სხვა სახის ინფორმაცია მოცემულია **გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულების** 1.2. პუნქტში.

2.6.**მესამე პირი** – ნებისმიერი **პირი** გარდა **კლიენტისა** ან/და **ბანკისა**.

2.7.**მხარე/მხარეები** – **კლიენტი** ან/და **ბანკი**, კონტექსტის შესაბამისად.

2.8.**საბანკო დღე** – დღე, შაბათის, კვირის ან **კანონმდებლობით** განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა.

2.9.**საკრედიტო პროდუქტი** - ნებისმიერი ფორმის საკრედიტო პროდუქტი (მათ შორის, საბანკო კრედიტი, ოვერდრაფტი, საკრედიტო ბარათი, საბანკო გარანტია ან/და ნებისმიერი შინაარსის სხვა საბანკო პროდუქტით, რაზეც **მხარეები** შეთანხმდებიან), რომლის გაცემაც **ბანკის** მიერ მოხდება **გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულების** ფარგლებში.

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები
** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

2.10.**საკრედიტო ხელშეკრულება**–**გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულების** საფუძველზე **მხარეთა** შორის გაფორმებული ხელშეკრულება კონკრეტული **საკრედიტო პროდუქტით** სარგებლობის შესახებ.
2.11.**ხელშეკრულება - მხარეთა** შორის გაფორმებული: ა)**გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულება** და **საკრედიტო ხელშეკრულება** ერთობლივად, მათი დანართებისა და მათში პერიოდულად შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების ჩათვლით.

3.გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულების საგანი
3.1.**მხარეები** თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ფარგლებში ბანკი განიხილავს **კლიენტის** მოთხოვნებს **გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულების** მე-4 მუხლით განსაზღვრული **გენერალური ლიმიტის** ფარგლებში და **მხარეთა** შორის შესაბამისი გარიგების დადების შემთხვევაში, მოემსახურება **კლიენტს** შეთანხმებული საკრედიტო პროდუქტით. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, **მხარეები** ადასტურებენ, რომ **გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულების** გაფორმება არ წარმოადგენს **ბანკის** მხრიდან რაიმეს შეპირებას და ბანკი უფლებამოსილი იქნება, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი დამატებითი ახსნა-განმარტებისა და დასაბუთების გარეშე, უარი განაცხადოს ნებისმიერი სახის საკრედიტო პროდუქტით მომსახურებაზე.
3.2.იმ შემთხვევაში, თუ **გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულების** ფარგლებში **მხარეთა** შორის დადებული **საკრედიტო ხელშეკრულების** ვადა აჭარბებს/გადააჭარბებს **გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულების** მოქმედების ვადას, **გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულების** მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება მის ფარგლებში დადებული **საკრედიტო ხელშეკრულების** საფუძველზე **მხარეთა** მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.
3.3.**მხარეები** თანხმდებიან, რომ თუ **გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულებაში**, **კლიენტი** წარმოდგენილია ერთზე მეტი სუბიექტით, ცალკეული **საკრედიტო ხელშეკრულება** შესაძლებელია გაფორმდეს ერთ ან რამდენიმე სუბიექტთან.

4.გენერალური საკრედიტო ლიმიტის პირობები
4.1.**გენერალური ლიმიტის**ამოქმედების პერიოდი**: გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულების** გაფორმების თარიღიდან.
4.2. **გენერალური ლიმიტის მოქმედების ვადა: გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულების** გაფორმებიდან 20 (ოცი) წელი.
4.3.**გენერალური ლიმიტის მოცულობა:** 10,000,000 (ათი მილიონი) ლარი ან ეკვივალენტი სხვა ვალუტაში, ყოველ ახალ საკრედიტო პროდუქტზე **საკრედიტო ხელშეკრულების** გაფორმების თარიღისთვის, **ბანკის** მიერ დადგენილი კომერციული კურსის შესაბამისად.
4.4.სხვა პირობები: ნებისმიერ პირობა, რომელიც არ არის განსაზღვრული **გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულებით** (მათ შორის, **საკრედიტო პროდუქტის** პროცენტის, პირგასამტეხლოს, ნებისმიერი სახის საკომისიოს მოცულობა და სხვა), განისაზღვრება უშუალოდ **საკრედიტო ხელშეკრულების.**

5.გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები
5.1.თუ უშუალოდ **საკრედიტო ხელშეკრულებით** სხვა პირობა არ არის განსაზღვრული, **ბანკი** უფლებამოსილია, მრავალჯერადად, ცალმხრივად შეცვალოს **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრული საპროცენტო სარგებელი, არანაკლებ 1 (ერთი) ერთეული და არაუმეტეს 10 (ათი) ერთეული პროცენტით.
5.2.თუ **გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულება** უზრუნველყოფილია იპოთეკით ან/და გირავნობით და თუ უშუალოდ **საკრედიტო ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** სხვა პირობა არ არის განსაზღვრული და თუ იპოთეკის ან/და გირავნობის საგნის რეალიზაციის (მათ შორის **ბანკის** მიერ დასაკუთრების, **მესამე პირისათვის** პირდაპირი მიყიდვის ან/და აღსრულების ნებისმიერი სხვა ფორმის) შედეგად ამონაგები თანხა არ არის საკმარისი **ბანკის** მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად, **ბანკი** უფლებამოისლია გადახდევინება მიაქციოს **კლიენტის** სხვა ქონებაზეც.
5.3.**გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულების** ან/და **საკრედიტო ხელშეკრულების** გაფორმება არ გულისხმობს **ბანკის** მიერ **კლიენტისათვის საკრედიტო პროდუქტით** სარგებლობის უფლების უპირობო

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები
** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

მინიჭებას და **კლიენტის** მიერ **საკრედიტო პროდუქტით** სარგებლობის დაწყებამდე, **ბანკი** უფლებამოსილია, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე (თუ უშუალოდ **საკრედიტო ხელშეკრულებით** სხვა პირობა არ არის განსაზღვრული), უარი განუცხადოს **კლიენტს საკრედიტო პროდუქტით** ან მისი ნაწილით სარგებლობაზე. ასევე, თუ **კლიენტის** რომელიმე **ანგარიშზე** იარსებებს რაიმე სახის საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა (მათ შორის ინკასო ან/და ყადაღა) ან/და **კლიენტს** ექნება რაიმე სახის ვალდებულება **ბანკის** წინაშე, **ბანკი** უფლებამოსილი იქნება: ა) არ ჩაურიცხოს **კლიენტს საკრედიტო პროდუქტით** განსაზღვრული თანხა, როგორც სრულად, ისე ნაწილობრივ; ან/და ბ) სრულად ან ნაწილობრივ დაბლოკოს **კლიენტის** ნებისმიერ **ანგარიშზე** არსებული თანხა (მათ შორის **საკრედიტო ხელშეკრულების** საფუძველზე ჩარიცხული თანხა); ან/და გ) **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე, ჩამოჭრას მის ნებისმიერ **ანგარიშზე** არსებული თანხა და მიმართოს **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულების შესასრულებლად (სრულად ან ნაწილობრივ). ამასთან, თუ **ანგარიშზე** არსებული თანხა და **კლიენტის** მიმართ არსებული **ბანკის** მოთხოვნა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკი** უფლებამოსილია განახორციელოს კონვერტაცია **ბანკის** მიერ დადგენილი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტირებული თანხა მიმართოს **კლიენტის** ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ შესასრულებლად.

5.4.**მხარეები** თანხმდებიან, რომ თუ **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრულია **საკრედიტო პროდუქტის** გამოყენების მიზნობრიობა, **ბანკი** უფლებამოსილია, **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრული თანხა (ან მისი ნაწილი) **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე გადარიცხოს **საკრედიტო ხელშეკრულებით** (ან/და შესაბამისი განაცხადით) განსაზღვრული **მესამე პირის** (მიმღების) ანგარიშზე.

5.5.თუ **ბანკი** სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი რაიმე ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, **პირგასამტეხლოს** დარიცხვა გრძელდება შესაბამისი **საკრედიტო ხელშეკრულებიდან** გამომდინარე დავალიანების (მათ შორის ძირითადი თანხის, საპროცენტო სარგებლის, ნებისმიერი საკომისიოს და სხვა გადასახდელის) **კლიენტის** მიერ ნებაყოფლობითი ან იძულებითი აღსრულების წესით დაფარვის მომენტამდე.

5.6.**ხელშეკრულების** ფარგლებში, **კლიენტის** მიერ გადახდილი ან/და მის **ანგარიშზე** არსებული თანხით პირველ რიგში იფარება დარიცხული ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ მომსახურების საკომისიოები (ასეთის არსებობისას), შემდეგ საპროცენტო სარგებელი და ბოლოს გადასახდელი ძირი, თუ უშუალოდ **საკრედიტო ხელშეკრულებით** სხვა პირობა არ არის განსაზღვრული. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს **ბანკის** შეხედულებით.

5.7.**მხარეთა** შეთანხმებით, **საკრედიტო ხელშეკრულება** შესაძლებელია ითვალისწინებდეს **ბანკის** მიერ რაიმე პირობის ცალმხრივად ცვლილების უფლებამოსილებას, რა დროსაც შესაძლებელია შეიცვალოს **კლიენტის** მიერ ნაკისრი ფინანსური ვალდებულების შესრულების პირობები (მათ შორის, გადახდის გრაფიკი). ასეთ დროს, **კლიენტი** ვალდებულია მაქსიმალურად მოკლე ვადაში მოსთხოვოს **ბანკს** შეცვლილი გადახდის გრაფიკი, **ბანკის** მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად, თუმცა აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა არ ათავისუფლებს **კლიენტს** ვალდებულებების შესრულებისაგან (მათ შორის შეცვლილი პირობების მიხედვით).

5.8.**საკრედიტო პროდუქტის** თანხის, საპროცენტო სარგებლის, ნებისმიერი საკომისიოს და პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს იმავე ვალუტაში რა ვალუტაშიც დამტკიცებულია **საკრედიტო პროდუქტი** (თუ უშუალოდ **საკრედიტო ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** სხვა პირობა არ არის განსაზთვრული), ხოლო **კანონმდებლობის** საფუძველზე აღნიშნული თანხის კონვერტაციის აუცილებლობის შემთხვევაში კონვერტაცია უნდა განხორციელდეს **კლიენტის** ხარჯზე, კონვერტაციის თარიღისათვის **ბანკის** მიერ დადგენილი კომერციული კურსით ან **კლიენტთან** შეთანხმებული სხვა კურსით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5.9.**კლიენტი** აცხადებს თანხმობას, რომ **ბანკმა ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი შესრულება (როგორც ვადამოსული, ისე ვადამოუსვლელი ვალდებულების, მათ შორის **საკრედიტო პროდუქტის** წინსწრებით, ვადაზე ადრე დაფარვის შემთვევაშიც) მიიღოს **მესამე პირისგან**, როგორ **კლიენტის ანგარიშის**, ისე მისი **ანგარიშის** გავლის გარეშე.

5.10.**ბანკი** უფლებამოსილია, **ხელშეკრულების** მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, მოსთხოვოს **კლიენტს** ნებისმიერი სახის ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, ინფორმაცია/დოკუმენტაცია **კლიენტის** საერთო აქტივების, ფინანსური მდგომარეობის, ბალანსის და მოგება-ზარალის შესახებ. ასევე, ამონაწერები საბანკო

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები
** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

ანგარიშებიდან, მათ შორის, სხვა საბანკო-საფინანსო ინსტიტუტებში არსებული ანგარიშებიდან, **მესამე პირთან** დადებული ისეთი გარიგების პირობები/დოკუმენტები, რამაც შესაძლებელია, რომ გავლენა იქონიოს **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებაზე) წარმოდგენა, რასაც **ბანკი** ჩათვლის მიზანშეწონილად, მოთხოვნით განსაზღვრული პირობების შესაბასად.
5.11.თითოეული **კლიენტი** უფლებამოსილია წარმოადგინოს დანარჩენი **კლიენტ(ებ)ი ბანკთან** ურთიერთობაში. მათ შორის, კლიენტი/უზრუნველყოფის საგის მესაკუთრე/თავდები/ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, უფლებამოსილია დაფაროს **ხელშეკრულების** ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი **საკრედიტო ხელშეკრულებიდან** გამომდინარე, ნებისმიერი **კლიენტის** ვადამოსული ან/და ვადამოუსვლელი ვალდებულება (როგორც სრულად, ისე ნაწილობრივ). დანარჩენი **კლიენტების** სახელით ხელი მოაწეროს როგორც **ხელშეკრულების**, ისე მის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი **საკრედიტო ხელშეკრულების** პირობების ცვლილების დოკუმენტს (მათ შორის **საკრედიტო ხელშეკრულების** თავსართს, გადახდის გრაფიკს და ა.შ.), შეცვალოს გადახდის თარიღი და შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება, როგორც სოლიდარულმა მოვალემ. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, **მხარეები** თანხმდებიან, თითოეული **კლიენტი** უფლებამოსილია გამოიყენოს ზემოაღნიშნული უფლებამოსილება, როგორც სოლიდარულმა მოვალემ, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა იგი **ხელშეკრულების** ფარგლებში გაფორმებული რომელიმე **საკრედიტო ხელშეკრულების** უშუალო მხარეს.
5.12.**მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული ნებისმიერი სახის კომუნიკაცია განხორციელდება ქართულ ენაზე.
5.13.**კლიენტი** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ არ არღვევს/არ დაარღვევს საქართველოში მოქმედ და საერთაშორისოდ აღიარებულ გარემოსდაცით, შრომის და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის შესახებ კანონმდებლობას და **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში დანერგავს გარემოს, შრომის, ჯანმრთელობისა და უსაფრთოებასთან დაკავშირებულ წესებსა და პროცედურებს. **კლიენტის** მიერ წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული გარანტიის დარღვევა წარამოდგენს **ხელშეკრულების** მნიშვნელოვან დარღვევას და **ბანკი** უფლებამოსილი იქნება ნებისმიერ დროს მოსთხოვოს **კლიენტს ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებების (როგორც ვადამოსულის, ისე ვადამოუსვლელის) დაუყოვნებლივ შესრულება.

6.მხარეთა პასუხისმგებლობა
6.1.**მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულების** ფარგლებში, **ბანკი** თავისუფლდება **კლიენტის** წინაშე ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუ აღნიშნული ზიანი არ არის გამოწვეული **ბანკის** ან/და მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის განზრახი ქმედებით.

7.ფორს-მაჟორი
7.1.არც ერთი **მხარე** არ აგებს პასუხს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ აღნიშნული გამოწვეულია **ფორს-მაჟორული** გარემოებით.
7.2.თუ **კლიენტს** დაუდგება **ფორს-მაჟორული** გარემოება, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ (მაგრამ არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში) წერილობით შეატყობინოს **ბანკს** აღნიშნულის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, **კლიენტი** კარგავს უფლებას დაეყრდნოს **ფორს-მაჟორულ** გარემოებას, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს.

8.კომუნიკაცია
8.1.თუ **საკრედიტო ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** სხვა წესი არ არის განსაზღვრული, **ხელშეკრულების** ფარგლებში ნებისმიერ შეტყობინებას **ბანკი კლიენტს** მიაწვდის ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი ან რამდენიმე გზით: **ვებ-გვერდზე** ან/და **ბანკის** სერვის-ცენტრებში ინფორმაციის განთავსებით, **კლიენტის** ელექტრონულ ფოსტაზე, ტელეფონის ნომერზე, მისამართზე ან/და სხვა საკონტაქტო რეკვიზიტზე შეტყობინების გაგზავნით, ასევე, **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულების** გაფორმების შემდეგ დაფიქსირებულ სხვა საკონტაქტო რეკვიზიტზე შეტყობინების გაგზავნით.

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები
** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

8.2.**კლიენტის** მიერ **ბანკისათვის** შეტყობინების გაგზავნა მოხდება წერილობით, **ბანკის** სერვის-ცენტში ან/და იურიდიულ მისამართზე შეტყობინების გაგზავნის გზით, თუ უშუალოდ **საკრედიტო ხელშეკრულებით** სხვა პირობა არ არის განსაზღვრული.
8.3.**ბანკის** მიერ, მის ხელთ არსებულ **კლიენტის** საკონტაქტო რეკვიზიტებზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება სრულად და ჯეროვნად გაგზავნილად და **კლიენტისთვის** ჩაბარებულად, მიუხედავად იმისა **კლიენტს** ფაქტობრივად ჩაბარდება თუ არა შეტყობინება, რაც შესაძლოა გამოწვეული იყო, როგორც უშუალოდ **კლიენტის** ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შეტყობინების განზრახ ჩაუბარებლობით, ისე **კლიენტი** მიერ საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის საცხოვრებელი/ფაქტობრივი მისამართის) ცვლილებით.

9.ხელშეკრულების პირობების ცვლილება
9.1.**ბანკი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, შეცვალოს **ხელშეკრულების** პირობები, მათ შორის ნებისმიერი **საკრედიტო პროდუქტის** პირობები (თუ უშუალოდ კონკრეტული **საკრედიტო ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** სხვა პირობა არ არის განსაზღვრული), **ვებ-გვერდზე**, სერვის-ცენტრებში (ან/და **ბანკის** მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით), შესაბამისი ინფორმაციის განთავსების გზით. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილება: ა) არ აუარესებს **კლიენტის** მდგომარეობას, **ბანკი** თავისუფლდება წინასწარი შეტყობინების ვალდებულებისაგან, რა დროსაც, აღნიშნული ცვლილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების ან/და **კლიენტისათვის** შეტყობინების მიწოდების მომდევნო **საბანკო დღეს**, თუ **ბანკის** მიერ სხვა პირობა (ან ვადა) არ იქნება განსაზღვრული; ბ) აუარესებს **კლიენტის** მდგომარეობას, **ბანკი** ვალდებულია აღნიშნული ცვლილების თაობაზე, წინასწარ, არანაკლებ 2(ორი) თვით ადრე აცნობოს **კლიენტს** ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში**,** ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში- არანაკლებ ერთი თვით ადრე პირადად, ელექტრონული ფოსტის, სმს-ის, კურიერის ან/და კონკრეტული **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრული საკომუნიკაციო არხით.
9.2.**ბანკი** არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს **კლიენტს ხელშეკრულების** პირობების ისეთი ცვლილების შესახებ, რაც ფინანსურად არ აუარესებს **კლიენტის** მდგომარეობას ან/და დაკავშირებულია **საკრედიტო პროდუქტით** სარგებლობის ფარგლებში **ბანკის** მიერ დადგენილი ტექნიკური პროცედურის ცვლილებასთან.

10.ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა
10.1.**გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულება** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **მხარეთა** მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.
10.2.**კლიენტი** უფლებამოსილია, ვადაზე ადრე მოითხოვოს **გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულების** შეწყვეტა, **ბანკისათვის** არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულების** ფარგლებში **კლიენტს** არ გააჩნია რაიმე სახის **საკრედიტო პროდუქტიდან** გამომდინარე ვალდებულება **ბანკის** წინაშე, როგორც ვადამოსული, ისე ვადამოუსვლელი.
10.3.თუ **კლიენტი** დაარღვევს **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე რაიმე სახის ვალდებულებას, მათ შორის, **გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულების** ფარგლებში გაფორმებული ერთი ან რამდენიმე **საკრედიტო ხელშეკრულებიდან** ან/და **გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულებისგან** დამოუკიდებლად გაფორმებული რაიმე სახის სხვა გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მათ შორის თუ **კლიენტი** დაარღვევს ბანკთან გაფორმებული ნებისმიერი საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდონარე ნებისმიერი სახის ვალდებულებას, **ბანკი** უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ მოსთხოვოს **კლიენტს** როგორც **გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულების** ფარგლებში, ისე მისგან დამოუკიდებლად დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულებების ვადაზე ადრე სრულად ან ნაწილობრივ შესრულება. ამასთან, თუ **გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულებაში**, **კლიენტი** წარმოდგენილია ერთზე მეტი სუბიექტით, ხოლო თუ ცალკეული **საკრედიტო ხელშეკრულება** გაფორმებულია ერთ ან რამდენიმე სუბიექტთან, **ბანკი** უფლებამოსილია ამ პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილება სოლიდარულად გამოიყენოს ნებისმიერი სუბიექტის მიმართ, მიუხედავად იმისა თუ უშუალოდ რომელი სუბიექტის მიერ მოხდა **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულების დარღვევა.

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები
** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

11.კონფიდენციალურობა და კლიენტის პერსონალური მონაცემების დამუშავება

11.1.**მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი სახის ინფორმაცია არის კონფიდენციალური და მისი **მესამე პირისათვის** სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა დაუშვებელია მეორე **მხარის** წინასწარი თანხმობის გარეშე. ამასთან, აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება ინფორმაციას:

11.1.1.თუ უშუალოდ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მისი გადაცემა შესაძლებელია **მესამე პირისთვის**.

11.1.2.თუ ის ცნობილი იყო **მხარისათვის ხელშეკრულების** გაფორმებამდე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

11.2.3.რომლის **მესამე პირისათვის** გადაცემაც სავალდებულოა **კანონმდებლობით**.

11.2.ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე:

11.2.1.სს „კრედიტინფო საქართველოს“ ან/და ნებისმიერ, მსგავსი ფუნქციის მქონე პირს მისცეს თანხმობა, რომ მათ **ბანკის** მიერ მიწოდებული ინფორმაცია მრავალჯერადად გადასცენ ისეთ მესამე პირს, რომელიც შესაბამისი გარიგების საფუძველზე თავადაც აწვდის სს „კრედიტინფო საქართველოს“ ან/და მსგავსი ფუნქციის მქონე პირს აღნიშნულ ინფორმაციას, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

11.2.2.სს „კრედიტინფო საქართველოსგან“ ან/და მსგავსი ფუნქციის მქონე პირისგან მრავალჯერადად მოიძიოს **კლიენტის** შესახებ არსებული ინფორმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** გააჩნია აქტიური საკრედიტო ვალდებულება **ბანკის** წინაშე, გადახდისუნარიანობის შეფასების მიზნებისათვის.

11.2.3.**კლიენტისათვის** ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურების (მათ შორის საკრედიტო, სადეპოზიტო და სხვა) შეთავაზების/გაწევის მიზნით, მრავალჯერადად გადაამოწმოს **კლიენტის** პერსონალური მონაცემები სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონულ ბაზაში, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

11.2.4**. კლიენტის** შესახებ მის ხელთ არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია გადასცეს **მესამე პირს** (მათ შორის **ბანკის** კრედიტორებს), თუ აღნიშნული გადაცემა აუცილებელია **ბანკის** უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, **ბანკის** მიერ **მესამე პირების** წინაშე სხვადასხვა გარიგებებით ნაკსრი ვალდებულებების შესრულებისათვის, **კლიენტის** მიმართ არსებული რაიმე სახის მოთხოვნის **მესამე პირისათვის** დასათმობად (მათ შორის აღნიშნულ **მესამე პირთან** მოლაპარაკების პროცესში), **კლიენტის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ან/და **კლიენტისათვის** რაიმე სახის მომსახურების/პროდუქტის შეთავაზების ან/და რაიმე სახის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

12. პრეტენზიები და დავები

12.1.**ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი სახის პრეტენზია **მხარეებმა** ერთმანეთს უნდა წაუყენონ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული საკომუნიკაციო ერთი ან რამდენიმე არხით. პრეტენზიის მიმღები **მხარე** ვალდებულია მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს აღნიშნული პრეტენზია ან განაცხადოს მოტივირებული უარი მის დაკმაყოფილებაზე.

12.2. **კლიენტის** მიერ პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია როგორც **ბანკის** სერვისცენტრებში, ისე ვებ-გვერდის https://credobank.ge/contact/, **ბანკის** ოფიციალური „ფეისბუქის“ გვერდის https://www.facebook.com/CredoBank ან/და **ბანკის** სატელეფონო ცენტრის (ნომერი: 032 2424242) მეშვეობით, ზეპირი, წერილობითი, სტანდანდარტული წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით. სტანდარტული წერილობითი პრეტენზიის ფორმა ხელმისაწვდომია **ბანკის** ნებისმიერ სერვის-ცენტრში. პრეტენზიის განხილვის პროცედურის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ვებ-გვერდზე: https://credobank.ge/protection/. პრეტენზიას განიხილავს **ბანკის** მომხმარებელთა პოზიტიური გამოცდილების მართვის დეპარტამენტი. **ბანკის** მიერ პრეტენზიის გახილვა მოხდება საქართველოს კანონმდებლობისა და **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად და **კლიენტისათვის** პასუხის დაბრუნება მოხდება ნებისმიერი ფორმით პრეტენზიის მიღებიდან მაქსიმუმ 1 (ერთი) თვის ვადაში, თუ კანონმდებლობით ან/და საერთაშორისო პრაქტიკით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ **კლიენტს** ეცნობება მოთხოვნილი ფორმის მეშვეობით: წერილობით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით

* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები
** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.

(ელექტრონული, ციფრული ან სხვა). პრეტენზიის განხილვის პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია **ბანკის** ვებგვერდზე: https://credobank.ge/protection/ და ტელეფონის ნომერზე: 032 2424242.
12.3.**ხელშეკრულების** ფარგლებში წამოჭრილი ნებისმიერი დავა, პირველ ეტაპზე წყდება მოლაპარაკებით. მოლაპარაკების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში ან/და თუ რომელიმე **მხარე** ჩათვლის, რომ მოლაპარაკების დაწყება იქნება უშედეგო, თითოეული **მხარე** უფლებამოსილია მოლაპარაკების გარეშეც, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.
12.4.**მხარეები** თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

13.ზოგადი პირობები
13.1.**მხარეები** თანხმდებიან, რომ:
13.1.1.**გენერალური აკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულება** და **საკრედიტო ხელშეკრულება** წარმოადგენენ ერთ მთლიან შეთანხმებას **მხარეთა** შორის.
13.1.2.**გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულებასა** და **საკრედიტო ხელშეკრულებას** შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება **საკრედიტო ხელშეკრულებით** განსაზღვრულ პირობებს.
13.1.3.იმ შემთხვევაში, თუ **ხელშეკრულების** ფარგლებში **კლიენტი** წარმოდგენილია ერთზე მეტი სუბიექტით: ა) თითოეული ასეთი სუბიექტი წარმოადგენს **ბანკის** მიმართ სოლიდარულ მოვალეს; ბ) **ბანკი** უფლებამოსილია მოთხოვნა წაუყენოს ნებისმიერ (ერთ ან რამდენიმე) სუბიექტს, **ბანკის** მიერ განსაზღვრული პროპორციის შესაბამისად.
13.2.**ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულებები **კლიენტმა** უნდა შეასრულოს პირადად. **კლიენტი** არ არის უფლებამოსილი **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე უფლება-მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს **მესამე პირს**, **ბანკის** წინასწარი თანხმობის გარეშე, თუმცა აღნიშნული შეზღუდვა არ გამორიცხავს **ბანკის** უფლებამოსილებას, რომ ნებისმიერი შესრულება (როგორც ვადამოსული, ისე ვადამოუსვლელი მოთხოვნის) მიიღოს **მესამე პირისგან**.
13.3.იმ შემთხვევაში, თუ **ხელშეკრულების** რაიმე პირობა, **კანონმდებლობის** შესაბამისად, ვერ გავრცელდება **კლიენტზე** მისი სტატუსიდან გამომდინარე, აღნიშნული არ გამოიწვევს **ხელშეკრულების** სრულად ბათილობას და **კლიენტზე** გავრცელდება მხოლოდ ის პირობები, რომლებიც მისი სტატუსიდან გამომდინარე შესაძლებელია რომ გავრცელდეს მასზე.
13.4.ყველა საკითხი, რაც არ არის დარეგულირებული **ხელშეკრულებით**, რეგულირდება **კანონმდებლობის** შესაბამისად.
13.5.იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** არ ფლობს ქართულ ენას, **ხელშეკრულება** შესაძლებელია დამატებით გაფორმდეს მისთვის გასაგებ უცხო ენაზეც, რა დროსაც, ქართულ და უცხოურ ენაზე შედგენილ ტექსტს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ენაზე გაფორმებულ **ხელშეკრულებას**.
13.6.**გენერალური საკრედიტო ლიმიტის ხელშეკრულების** თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცემათ **მხარეებს**.